პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით | კვირა, 27 აპრილი 1924 წ. | წელიწადი მეოთხე | ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 487 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## განცხადება.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს 28 აპრილს საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახ.) დანიშნულია თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1) პროფესორ იურევსკის მოხსენება ვალიუტის ბრუნვის შესახებ.
2) თბილისის აღმასკომის 1924 წ. ბიუჯეტის დამტკიცება.
3) მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრებისათვის და კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

## ქართულ დივიზიის მთლიან მომხმარებელთა საზოგადოების რწმუნებულთა მე-3-ყრილობა.

ხვალ 28 აპრილს გაიხსნება ჩვენი დივიზიის მთლიან მომხმარებელთა საზოგადოების რწმუნებულთა მე-3-მე ყრილობა.

ყრილობა იკრიბება ისეთ მომენტში, როდესაც, როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო კოოპერაციის წინ, სდგას მეტად დიდი საპასუხისმგებლო ამოცანები დაკავშირებული ფულის რეფორმის გატარებასთან.

პირველ ყოვლისა ყრილობა ჯამს გაუკეთებს წარსულ წლის მუშაობას, აღნიშნავს ყველა მიღწევებს, დეფექტებს და გამოიმუშავებს მომავალ მუშაობის გეგმას დამყარებულს საბჭოთა კოოპერაციის ახალ ამოცანებზე.

საზოგადოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხედრო კოოპერაციას დიდი მნიშვნელობა აქვს არა თუ მარტო წითელი ჯარის ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ საბჭოთა რესპუბლიკის მეურნეობის სფეროშიც.

სამხედრო კოოპერაცია ემსახურება არა მარტო თავისი მომხმარებლების ინტერესებს, არამედ ის ერთ-ერთი საუკეთესო საშვალებათაგანია კოოპერატიული იდეების გავრცელებისა სოფლად.

დღემდის სოფლად კოოპერაციამ ვერ მოიკიდა ფეხი, როგორც ეს საჭიროა. სოფლის უკულტურობა, ჩამორჩენილობა, სიბნელე წარმოადგენენ ერთ მთავარ დაბრკოლებას კოოპერატიული იდეების გასავრცელებლად სოფლად.

ამიტომ როდესაც ჩვენი რესპუბლიკის ყოველ კუთხიდან წითელ ჯარში მოდიან ახალგაზრდა გლეხები, ისინი სამხედრო წვრთნასთან და კულტურასთან ერთად ეზიარებიან კოოპერატიულ იდეასაც. აქ ჯარის ნაწილში ფარაჯაში გადაცმული გლეხი რწმუნდება კოოპერაციის მნიშვნელობის სიდიადეში და ღრმად ითვისებს კოოპერატიულ იდეას. ამ მხრივ ჩვენმა სამხედრო კოოპერაციამ კარგ შედეგებს მიაღწია. წრეულს მან დაუბრუნა სოფელს თერთმეტი გლეხი-კოოპერატორი, რომლებმაც კარგათ შეითვისეს პრაქტიკაში კოოპერაციის მიზანი და როლი.

თერთმეტი გლეხი კოოპერატორი ეს საუკეთესო საჩუქარია განახლების გზაზე დამდგარ სოფლისათვის წითელ არმიისაგან.

ამ უკანასკნელ წელში ჩვენი დივიზიის კოოპერაცია საგრძნობლად განვითარდა და გაფართოვდა. დღეს თითქმის ყველა ჯარის მსხვილ ნაწილებში იმყოფება პირველადები.

გარდა ამისა საერთოდ და მთლიანად ჩვენმა კოოპერაციამ შესძლო თავისი მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ერთ-ერთ მიღწევათ მას უნდა ჩაეთვალოს ფართე საქონლის კრედიტი, რომელიც მან მიაწოდა მის მომხმარებლებს. ეს კრედიტი განისაზღვრება ორმოცდა ექვსი ათასი მანეთით, რა თანხაც „ევკოგრუზისათვის“ მეტად მნიშვნელოვანია. მაგრამ მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს დეფექტებიც, არა ნორმალური მოვლენები, რომელსაც ადგილი ქონდა ჩვენი კოოპერაციის ცხოვრებაში. ეს საერთო ხასიათის დეფექტებია, რომლებიც აღნიშნულია არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო კოოპერაციის ცხოვრებაშიც და გამოწვეულია ამიერ-კავკასიაში დღემდის მტკიცე ვალიუტის უქონლობით და თვით კოოპერაციის უმწეო მდგომარეობით. როგორია ეს დეფექტები? უმთავრესად ფასების სიძვირე, კოოპერატიული ხაზის გადახზნიქვა კომერციული სარგებლობის მხარეზე და სხვა. მაგრამ ეს ავადმყოფობა მტკიცე ვალიუტის შემოღებისა და სახელმწიფო შინა ვაჭრობის რეორგანიზაციის შემდეგ ადვილად მოსარჩენია და კერძოდ ჩვენი სამხედრო კოოპერაცია უკვე დაადგა ამ ანორმალობის ლიკვიდაციის გზას. დღეს „ევკოგრუზის“ ყველა განყოფილებებში თქვენ იშოვნით მეტად დაკლებულ ფასებში საქონელს.

ასეთია მოკლედ ქართულ დივიზიის მთლიან მომხმარებელთა საზოგადოების წლიური მუშაობის შედეგები.

სამხედრო კოოპერაციის მე-3-მე ყრილობამ ჯეროვანად უნდა შეაფასოს წარსული წლის მუშაობა და თავისი გადაწყვეტილებით ყველა იმ კითხვებზე, რომლებიც ყრილობის წესრიგში სდგას სწორი გეზი უნდა მისცეს ჩვენი დივიზიის მთლიან მომხმარებელთა საზოგადოებას მომავალ მუშაობაში. მომავალი მუშაობა კი გაგრძელდება სასტიკი ბრძოლის ნიშნის ქვეშ კერძო კაპიტალთან კოოპერაციის მიერ ჩვენი შინაური ბაზრის დასაპყრობად. ჩვენი სამხედრო კოოპერაცია უნდა გახდეს ერთ-ერთ მძლავრ მეტოქეთ კერძო ვაჭრობის და საერთო კოოპერატიულ ფრონტზე უნდა დაიჭიროს საპატიო ადგილი.

# რადიო-დეპეშები

— უნგრეთის მოსაზღვრე ოლქებში რუმინეთი აწარმოებს სამხედრო მზადებას. გამოცხადებულია, რომ ყველა სამხედრო ვალდებულნი 43 წლამდე მზად იყვნენ.

— რუმინეთში გლეხთა მღელვარებაა—გლეხთა შორის მიწის უკანონოდ განაწილების გამო.

— გერმანიის საარჩევნებო კომპანია მწვავე ხასიათს იღებს. თითქმის ყველა პარტიებს შორის იმართება სისხლის მღვრელი შეტაკებები.

— ტოკიოში მოხდა დემონსტრაციები და მასიური მიტინგები ამერიკის საიმიგრაციო კანონების წინაალმდეგ.

## საბჭოთა კავშირი

### კავკასიის წითელ დროშიან არმიის ახალი უფროსი.

კავკასიის წითელ დროშიან არმიის უფროსი ამხ. ეგოროვი დაინიშნა უკრაინის შეიარაღებულ ძალების უფროსად. ამხ. ეგოროვის ადგილზე ინიშნება ცალკე კავკასიის არმიის შტაბის ყოფილი უფროსი და ამ ჟამად თურქესტანის უფროსი ამხ. პუგაჩევი.

### სახალხო კომისარიატის საგარეო ვაჭრობის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში

სახალხო კომისარიატის საგარეო ვაჭრობის რწმუნებულად ამიერკავკასიის ფედერაციაში საკავშირო სახკომსაბჭომ დაამტკიცა ივანიანცი.

### 120 საბარგო ავტომობილი ამიერ კავკასიისათვის.

იტალიის სამრეწ. ფირმებმა გაუხსნეს გრძელვადიანი კრედიტი ავტ-მრ-ბას უდრის მილიონ ოქროს მანეთს, რომლითაც უნდა შეძენილ იქნას 120 საბარგო ავტომობილი ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის.

### დააცხრეს ვაჭრები.

დონის როსტოვი.

მუშათა ბოიკოტის გამო ოც კერძო მოვაჭრეებს წინაალმდეგ, ვაჭრებმა განაცხადეს რომ ისინი მზად არიან ივაჭრონ დაწესებულ ფასების მიხედვით.

### კომუნისტური უნივერსიტეტების კონფერენცია.

გაიხსნა კომუნისტური უნივერსიტეტების კონფერენცია, რომელზედაც ითვლება 100 პროც. მეტი დელეგატი.

### ლენინის სახელობაზე მიწის რაიონები.

ტაშკენტი. მრავალ სოფლების ყრილობებზე გლეხებმა დაადგინეს დასთესონ განსაკუთრებული რაიონები ლენინის სახელობაზე რომელთა მთელი შემოსავალი მოხმარდება წ. კ. უცოდინარობის წინაალმდეგ ბრძოლას და უპატრონო ბავშვების მდგომარეობის უზრუნველყოფას.

## კაპიტალისტურ ქვეყნებში

### იტალია.

**სსრკ—სთან მოლაპარაკების პირველი ნაყოფი.**

„ჩიკაგო ტრიბუნ“-ის კორესპონდენტი თავის გაზეთს სწერს: „იტალია იწყებს სსრკ—სთან მოლაპარაკების ნაყოფის მკას. ოდესიდან ნეაპოლში წითელ „ფლაგის“ ქვეშ მივიდა რუსეთის გემი 8 000 ტონი ხორბალით დატვირთული. ამ გემს მოყვება ჩქარა სხვა გემი, რომელიც მოდის ბათუმიდან ნავთით დატვირთული. რუსეთიდან მიღებული ხორბლისაგან დამზადებული იქნება მაკარონი. ეს გარიგება მეტად ხელსაყრელია ეტალიისათვის, რომელმაც იყიდა და ამჟენივე ხორბალი შეერთებულ შტატებში, მაგრამ უფრო ძვირად, ასე რომ ეს იქნება ნაციონალური ბიუჯეტისთვის დიდი შეღავათი. შეერთებული შტატების აზ-ით გაცილებით მეტ კონკურენციას წარმოადგენს ნავთის გარიგებები ბათუმიდან, სადაც საბჭოთა მთავრობას, როგორც სჩანს, აქვს დ-

## ბრძოლა იმპერიალისტურ ბანაკში.

ჩვენ კარგა ხანია ვსწერდით ანტანტის გახრწნისა და დაშლის შესახებ. უკანასკნელი ამბები ევროპაში უფრო ნათელ ყოფენ ამ ფაქტს.

დღითი დღე აშკარა ხდება ის ღრმა ანტაგონიზმი რომელიც გამეფდა ანტანტის წევრთა შორის დღიდან ვერსალის ხელშეკრულების დადებისა. განსაკუთრებით ეს უთანხმოება გამოსჭვივოდა ინგლისსა და საფრანგეთის შორის დამოკიდებულებში,

ამ უკანასკნელად კიუთანხმოებამ ანტანტის შიგნით თავი იჩინა მეორე მხრიდანაც იტალია მიისწრაფვის ისეთივე როლი და ადგილი დაიჭიროს საერთაშორისო ავაზაკურ პოლიტიკაში მსოფლიო იმპერიალიზმისა, როგორც საფრანგეთსა და ინგლის უჭერია.

ამ განხეთქილებამ, ინტერესთა წინაამღდეგობამ ამ ბოლო ხანებში მეტად მწვავე ხასიათი მიიღო.

დღეს ინგლისსა და საფრანგეთს არა მარტო უკმაყოფილება და განხეთქილება აქვთ ურთიერთშორის უფრო მეტი: ისინი დაუძინებელი მტერი არიან ერთმანეთის.

ეს აიხსნება მარტო იმ ფაქტით, თუ როგორი გააფრთებით საფრანგეთი აძლიერებს თავისი შეიარაღებული ძალებს და განსაკუთრებით სამხედრო საჰაერო ფლოტს.

მთავარი სადავო საკითხები, რომელიც იწვევს ასეთ მტრობას ანტანტის წევრთა შორის არის გერმანიის რეპარაციების საკითხი და მეორე საბჭ. კავშირთან დამოკიდებულება.

ინგლისისა და იტალიის მტაცებელი იმპერიალიზმი ვერ ურიგდებიან საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ რურის ოლქის ხელში ჩაგდებას და მის პოლიტიკურ გავლენის ზრდას ევროპის მცირე სახელმწიფოებზე.

ამიტომ ინგლისი და იტალია დიდი მოხარული არიან რურის ოლქიდან საფრანგეთის ჯარების გაყვანით, რადგან მათ საშვალება ეძლევათ თავის მხრივ გააფართოვონ გერმანიის მშრომელ ხალხის გაყვლეფა თავიანთ ჯიბეების სასარგებლოდ.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებას აქაც სავსებით გამოაშკარავდა მათი უთანხმოება.

ინგლისმა და იტალიამ იცნეს საბჭოთა კავშირი, რათა ამით მათ შესძლონ თავისი ეკონომიური კრიზისის გადალახვა და უფრო წელ გამაგრებული ებრძოლონ, როგორც ერთმანეთს ის საფრანგეთს.

ასეთია ის მტრული დამოკიდებულება, რომელიც დღითი დღე მწვავდება ანტანტის სახელმწიფოებთა შორის. თვითეული მათგანი ემზადება მომავალ იმპერიალისტურ ომისათვის და გარდა იმისა, რომ ადიდებს თავის შეიარაღებულ ძალებს, ის აგრეთვე ეძებს ახალ მოკავშირეებს ევროპის სხვა წვრილ სახელმწიფოებათა სახით.

საფრანგეთმა ამ მხრივ ყველას გადააჭარბა. მან თითქმის ყველა ევროპის წვრილი კაპიტალისტური ქვეყნები გაიხადა თავის მოკავშირეთ, უფრო უკეთ რომ ვსთქვათ თავის მორჩილ მოსამსახურეთ.

უკანასკნელი რადიოს გადმოცემით განზრახულია ახალი კოალიცია: იტალია, ჩეხო-სლოვაკია და სამხრეთ სლავია კრავენ კავშირს. ეს ახალი კავშირი იტალიის მეთაურობით მორიგი გალაშქრებაა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინაალმდეგ.

ასეთია ევროპის დღევანდელი ამბები. მადა გახსნილი იმპერიალიზმი კვლავ ისხამს იარაღს, კვლავ ეპირება ახალი უმაგალითო, სისხლის მღვრელი ომი დაანთოს მრავალ ტანჯულ ევროპის მუშათა კლასის გასანადგურებლად. ვიმედოვნებთ, რომ სანამ ის ამას ჩაიდენს მისი ბატონობა განადგურებული იქნება ევროპის პროლეტარული ძლევამოსილი რევოლიუციით.

—გ.

დი მარაგი; ასე რომ იტალია შემდეგში შესძლებს შემოიტანოს ბათუმიდან ნავთი თავის მოთხოვნილების ფარგლებში.

პურისა და ნავთის სამაგიეროდ საბჭოთა კავშირი ყიდულობს იტალიისაგან სიცილიის გოგირდს. ეს გოგირდი იგზავნება პირდაპირ ოდესაში, რაიც უჯდება საბჭოთა მთავრობას გაცილებით იაფად, ვინემ წინად, როდესაც გოგირდს იღებდა ჰამბურგიდან და საბჭოთა მთავრობას უხდებოდა ეძლია გადასაზიდი და საკომისიო ხარჯები გერმანიისათვის.

## საფრანგეთი.

### პუანკარე ვერ „მოითმენს".

რესპუბლიკანურ ფედერაციის ბანკეტზე პუანკარე გამოვიდა დიდი საპროგრამო სიტყვით, რომელშიაც განაცხადა, რომ მთავრობას არ აქვს განზრახვა გავლენა მოახდინოს ხალხის თავისუფალ ნება სურვილებზე არჩევნების დროს მაგრამ ის ვერ მოითმენს რომელიმე არა კონსტიტუციონურ ან რევოლიუციონურ პარტიების გავლენას. „მთავრობა— სთქვა მან—გამსჭვალული იქნება წესრიგის, თავისუფლების, რესპუბლიკანურ მთლიანობის და ნაციონალური თანხმობის პრინციპებით, აგრეთვე ზომიერი პოლიტიკით. მთავრობას შეუძლია იმუშაოს მხოლოდ საზოგადოების და ხელისუფლების ჰარმონიულობაში. დეპუტატთა პალატამ უნდა დაამთავროს ფინანსების მოგვარება, რათა გამოსძებნონ გზები ეკონომიისაკენ. მან უნდა შეიტანოს წესრიგი და სამართლიანობა საგადასახადო სისტემაში და საბოლოოდ დააყენონ ყოველგვარ აგრესიულ ცდების საფრთხის გარეშე ნაციონალური სიმდიდრე.

**საგარეო პოლიტიკა.**

პუანკარემ განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკის მხრივ პალატამ უნდა დაიცვას საფრანგეთის უფლებები, განამტკიცოს მთელი ქვეყნის მშვიდობიანობა, აღადგინოს საფრანგეთის მორალური მდგომარეობა აღმოსავლეთში, დაამტკიცოს ლოზანის მოლაპარაკება, დაიცვას ჩვენი ინტერესები მცირე აზიაში, განავითაროს კომერციული ურთიერთობა სხვა და სხვა სახელმწიფოებთან, რომლებთანაც საფრანგეთს არ აქვს მტკიცე კონვენციები, შეისწავლოს ეკონომიური რეჟიმი, რომელსაც მოითხოვს ვერსალის მოლაპარაკება გერმანიის შესახებ. მიიღოს კონტრიბუცია და უზრუნველყოფას გარანტია, არ გაუშვას შემთხვევა რურის ოპერაცია, წარმატებასა და ექსპერტთა მოხსენებასთან დაკავშირებით, რათა საბოლოოდ გადაჭრილი იქნას საკონტრიბუციო საკითხი.

## ინგლისი.

### ინგლის-საბჭოთა კონფერენცია.

ინგლის-საბჭოთა კონფერენციის პირველი კომისია, რომელიც არჩევდა დონის ბასეინისა და ფინანსების საკითხებს უნდა შეკრებილიყო 25 აპრილს. კომისია დაყოფილ იქნა ორ ქვეკომისიად. მოხდა მეორე ქვეკომისიის კრება, რომელიც არჩევდა ვაჭრობისა და სანაოსნო საკითხებს.

## ევკოგრუზის წლიური მუშაობა და მისი პერსპექტივები.

**(საუბარი გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ილ. ებრალიძესთან.**

ჩვენი რედაქციის თანამშრომელთან საუბარში ევკოგრუზის წლიურ მუშაობის და მისი პერსპექტივების შესახებ გამგეობის თავმ—ემ ამხ. ილ. ებრალიძემ შემდეგი გ ნაცხ და:

— ამ ჟამად წლიურ მუშაობის შესახებ მე თქვენ დაწვრილებით ცნობებს ვერ მოგცემთ, სხვა და სხვა ტეხნიკურ მიზეზების გამო. გამგეობა თავის მუშაობის შესახებ სრული მოხსენებით წარსდგება მომავალ რწმუნებულთა მორიგ მესამე ყრილობაზე, რომელიც უნდა შესდგეს აპრილის 28-ს.

ამ ჟამად საჭიროდ მიმაჩნია მიგითითოთ რამოდენიმე გარემოებაზე.

— წინანდელ გამგეობიდან, რომელიც უძღოდა 22 წლის მუშაობას, ჩვენ ჩავიბარეთ მემკვიდრეობა ძლიერ ცუდ პირობებში. ევკოგრუზს მოეპოებოდა მხოლოდ ერთი მაღაზია რუსთაველის პროსპექტზე და ისიც ცარიელი. მას ნდობა ქონდა დაკარგული, როგორც მყიდველთა თვალში, ისე კრედიტის მომწოდებელ ორგანიზაციებთან. შეჩერებული იყო სახერხი ქარხანაც. ასეთ მდგომარეობის დროს მოსამსახურეთა შტატი ძლიერ გაბერილიყო. ჩაბარებისთანავე ჩვენი ყურადღება მიექცა ვაჭრობის გაფართოვებას და საკუთარი მეურნეობის მოწყობას. ნაცვლად ერთი მაღაზიისა რუსთაველის პროსპექტზე ჩვენ მოგვეპოვება ამ ჟამად 4 უნივერსალური მაღაზია ქ. თბილისში, 11 მაღაზია ჯარის ნაწილებში. ქ. ქუთაისში 2 უნივერსალური მაღაზიაა, ორი კიოსკი, სასადილო და ფურნე. ბათომშიც ერთი მაღაზია და ორი კიოსკი. ევკოგრუზს აქვს სახერხი ქარხანა, რომელიც მოგებით მუშაობს. აღებულია სატყეო კონცესია ახალციხის მაზრაში. სოფლის მეურნეობა „ეკონომია" ყიაფ. კუჩებახების, რომელიც ამ ჟამად ეკუთვნის ევკოგრუზს ითვლება ერთ ერთ საუკეთესო და სამაგალითო მამულად, სადაც მოიპოვება იშვიათი ჯიშის „შვეცის" ძროხები—170 სული. აქვე არის ღორის ჯოგი.

— გამგეობას დასახული ქონდა არ დაეშვა მყიდველი კერძო ბაზარზე, დაეკმაყოფილებია მისი შესმყიდველობითი მოთხოვნილება სრულ 100%, ეს ამოცანა 23 წელს, შესრულებულ იქნა მხოლოდ 50%—60%-დე. 1 იანვრიდან კი გამგეობა აკმაყოფილებს მოთხოვნილებათა 90%.

— კოოპერატივთა ქსელი გაბმულა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, ზაფხულობით კი მაღაზიები მოეწყობა ჯარის დაბანაკების ადგილებზე.

— გზა და გზა, ჩვენ შევეცდეთ ჯარის ნაწილებიდან გამოგვეყვანა წითელ-არმიელები და შეგვესწავლა მათთვის კოოპერაცია: ამ დემობილიზაციის შემდეგ ჩვენ სოფელს ვაძლევთ 11 კვალიფიციურ კოოპერაციის მომუშავეებს.

— შედარებით შარშანდელ წევრთა საერთო რიცხვთან წელს გაიზარდა 30%-ით. დღესდღეობით ევკოგრუზში 8.600 წევრი ითვლება.

— არ ყოფილა შემთხვევა, რომ მაღაზიებში ყოფილიყოს საქონლის ნაკლულოვანება, რაც იშვიათი მოვლენაა დანარჩენ კოოპერატიულ ორგანიზაციებში. უმეტეს შემთხვევაში საქონელს ვღებულობდით კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან ასე:

— 68 პროც. კოოპერატ. ორგანოებიდან.

— 10 პროც. სახელმწ. ვაჭრობის ორგანოებიდან.

— 10 პროც. კერძო ბაზრიდან.

— 12 პროც. კი ჩვენი საკუთარი წარმოებიდან.

ცეკავშირიდან ჩვენ საქონელი გამოგვაქვს პერმანენტულ კრედიტით.

— მიმდინარე სამუშაო წელს ჩვენ გავატარეთ სამ თვიანი საქონლის სესხი. მე ვფიქრობ, ბაზარზე შექმნილ ფასების და არსებულ ხელფასის პირობებში, ზედმეტია ამ სესხის მნიშვნელობაზე ლაპარაკი. დივიზიის მასშტაბით ჩვენ გავეცით სესხათ 46 ათასი მანეთის საქონელი. სესხი მიიღო ყველა ნაწილებმა, სამხედრო კომისარიატმაც და ჩონმაც.

— რაც შეეხება ფასების საკითხს ის წინეთ ძლიერ მწვავედ იდგა. რომ მყიდველთა თვალში ნდობა აღგვედგინა, და ჩვენი ფასები მყიდველთა მასებისათვის ყოფილიყო მისაწდომი, ჩვენ ხშირად იძულებული ვიყავით გაგვეყიდა საქონელი თვით ღირებულებაზე ნაკლებ ფასებში, აქედან მიღებული ზარალი კი იფარებოდა „ეკონომიიდან", სატყეო კონცესიიდან და სახერხ ქარხნიდან მიღებულ მოგებით. შემდეგ კი ფასები ჩვენს მაღაზიებში მუდამ ნაკლებია 5—15 პროც. ვიდრე სხვა კოოპერატივებში, და მით უფრო კერძო ბაზართან შედარებით. ჩვენი საქონელი თავისი ხარისხით არც ერთ არ უთმობს.

— ა. კ ფულის ნიშნების დაცემის დროს, ჩვენს მოსამსახურეებს და ქ. დივიზიის სამმართველოს, და ნაწილებს, არ დაუკარგავთ კურსის განსხვავებაზე; ეს საკითხი მოაგვარა საბანკო განყოფილებამ, რომელიც გამგეობასთან არსებობს. ის თავის დროზე ღებულობდა ფულს ნაწილებიდან და მას ათავსებდა რომელიმე ხაზინის სალაროში.

— ამ ჟამად საქონლის ყიდვა შენელდა. ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: წინეთ მყიდველი ფულის მიღებისთანავე ყიდულობდა საქონელს, ამ შემთხვევაში საქონელი მისთვის მტკიცე ვალიუტის დანიშნულებას თამაშობდა, ეხლა კი საქონელზე ფასების დაწევის და ფულის ნიშნების განმტკიცების დროს, ასეთი საშიშროება მას არ მოელის, ამიტომ ის ამჯობინებს ფულის შენახვას. მიმდინარე წელს საქონლის ტრიალი გამოიხატება ერთ მილიონ ასი ათას მანეთში.

— რაც შეეხება ევკოგრუზის მომავალ მუშაობას, ამბობს ამხ. ებრალიძე, ჩვენ ვფიქრობთ რომ მომავალ გამგეობას არ შეხვდება დიდი სიძნელენი, რადგანაც ორგანიზაციულად ევკოგრუზი სავსებით ჩამოყალიბებულია. ის მტკიცეთ სდგას საკუთარ ფეხებზე, და კრედიტულად ნდობაც საკმაო აქვს.

გამგეობის უახლოესი ამოცანაა, ჩაითრიოს ახალ-წვეულთა კადრები კოოპერატიულ მუშაობაში. გააფართოვოს კოოპერატივთა ქსელი. განავითაროს სოფლის მეურნეობები, კერძოდ „ეკონომია". ყურადღებები მიექცეს სასარგებლო საქონლის ჯიშის მოშენებას და მეფუტკრეობას. გამგეობას ამ მხრივადაც გადადგმული აქვს მიზანშეწონილი ნაბიჯები.

**პატარა ფელეტონი.**

## სააღდგომო მოგონება.

(თითქმის მართალი ამბავი)

(დასასრული)

საცოდავი ისაკა დიაკვანი გაშრა, ისე ჩაუვარდა ენა, რომ თითქოს მართლაც ის ყოფილიყოს მომხდარ უბედურობის მიზეზი. ბოლოს მღვდელი გონს მოვიდა და მითხრა.

ეს ორი შენ ჩაიდინე „უუჩენიკო"? წახდით გაფუჭდით ეხლანდელი „სემინარისტები", ღმერთი რომ აღარ გწამსთ, მღვდელს როგორ დაიწდობთ, დაგლახროსთ სამას-სამოცდა-სამმა წმინდა გიორგიმ, აფსუს შენ, რომ მამი შენის შვილი იყო, ამაზე არაშია ფულის დახარჯვა, ეს უთუოდ გარეწარი და ურწმუნო კაცი გამოვა. ჯერ სასწავლებელი არ გაუთავებია და ასეთი საქმე ჩაიდინა და მერე რას იზამს, მე ამის შესახებ უსათუოდ მივწერ შენს დირექტორს და ვნახოთ რა მოგივიდეს.

მეც ენა ჩამივარდა, თავის გამართლება ველარ მოვახერხე; ჩემს მაგიერ ბებია ჩემმა დაუწყო მღვდელს მუდარი.

არა, მამაო, შენი მუხლის ჭირიმე შეგცოდი და შეუნდე, მაგრამ მღვდელმა ყურიც არ ათხოვა, გაბრაზებული მოაჯდა ჯორს და გასწია.

გათავდა აღდგომის კანი-კულები. დაიწყო მეცადინეობა. სწორედ ახალკვირის სამშაბათი იყო მეორე გაკვეთილზე ჩვენმა ინსპექტორმა გვარათ ხულინოვმა (მახსოვს მეტ სახელათ ხულიგანოვს ვეძახდით ალბათ კაი კაცობისათვის მრისხანეთ მომმართა.

„По постоновлению Педагогическаго совета вы исключены из училища". მასთან თქვენს მტერს მე რომ მომივიდა: რეტი დამესხა, გონება დამეკარგა... მაისში უნდა გამეთავებია და ნასწავლი კაცი გამხდარვიყავ, ეს რა უბედურება მეწვია მეთქი ვფიქრობდი; არ ვიცოდი რაში იყო საქმე, კარგად ვსწავლობდი, არც ერთ მასწავლებელთან სკანდალი არ მომსვლია, გარდა მათემატიკის მასწავლებელ ივან ივანიჩისა, რომელსაც იმ თავითვე არ მოვსწონდი; ბოლოს კიდევ ამიხირდა გინდა თუ არა თმა მოიპარსეო (ეს ამბავი 1904—5 წელში იყო, როცა დიდი თმა მოდაში იყო და მე რატომ ჩამოუვარდებოდი მოდას?!)

ასეთ ფიქრსა და ბჭობაში ვიყავი გართული, რომ ინსპექტორმა მიბრძანა წავყოლოდი პრისტავთან ფეოდორს, (სკოლის მოსამსახურე იყო) რომელსაც კარგი მომსხო ტანის დალუქული კონვერტი გადასცა, ამის გაგონებაზე ხომ სულ მოვისპე, ვიფიქრე მართლა გლახათ არის ჩემი საქმე მეთქი, მაგრამ მიზეზების გამოკითხვას როგორ გაუბედავდი და მეც უხმოთ გამოვეკიდე უკან ფეოდორს.

მივედით „უჩასტკაში", პაკეტი მაშინათვე გადასცეს პრისტავს, რადგანაც კონვერტზე ეწერა „Срочно и секретно". გაცეცხლებულმა პრისტავმა რამოდენიმე წუთის შემდეგ გამოყო თავი კაბინეთიდან და მრისხანეთ შემომძახა; Войдите, მომდგა, მაგრამ რა მომდგა. დამიწყო ფეხების ბრახა-ბრუხით ლაპარაკი:

— თვენ ბრძანდებით, ყმაწვილო, გლეხებში, რომ პროპაგანდას ეწევით, მღვდელს დრამა არ მისცეთ, ღმერთი და ხატი ყველაფერი მოგონილიაო!? ვინ მოგცეთ თქვენ ამის ნება, ვინ?! ციხეში ჩაგაჯენთ, გადაგასახლებთ, გაგამათრახებთ... თუმც სოციალისტს მიგიგავთ თმა მარქსს ბაძავთ არა, წითელი ბლუზა, შავი გალსტუკი, დიოგანილის შარვალი, თან მათვალიერებდა პრისტავი და ისე მაგრათ ურტყამდა იატაკზე ფეხს რომ სულ მტვერის კორიანტელი დააყენა.

ბოლოს დაწყნარდა, წინ და უკან დაიწყო ღრმად ჩაფიქრებულმა სიარული, ბოლოს უცბად შეჩერდა, კაცი იფიქრებდა რაღაც დიდი აზრი მოუვიდა ამ კაცსო და მაგრად წამოიძახა:

სტრაჟნიკ!

გამოიჭიმა ხელად მის წინაშე სტრაჟნიკიც.

— ამ ვაჟბატონს ძირში გაპარსეთ თავისი ხუჭუჭა თმა და გაუშვით.

— სლუშაიუს-ო უპასუხა სტრაჟნიკმა და მანიშნა გავყოლოდი, მაგრამ მოვიკრიფე ძალ-ღონე და გავბედე პრისტავის შეკითხვა:

— ბატონო, მე არაფერი დანაშაულობა მიმიძღვის.

— როგორ თუ არ მიგიძღვის მაშ მამა ათანასე, რომელსაც მე თვითონ ჩავაბარე „სტანისლავა" ტყვილს დასწერდა და თან ქაღალდებში დაიწყო ცქერა.

ხო, მაშინ კი მივხვდი რაშიაც იყო საქმე, გამახსენდა: საცოდავი ჯორები, ჩვენი მურა ბეჭს რო პირი წამოავლო და დავრწმუნდი, რომ „მამა" გიორგის მართლა აესრულებია დაპირება, მე თავის მართლება აღარ დამიწყია, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი მაინც არაფერს დამიჯერებდა.

პრისტავმა კიდევ ანიშნა „სტრაჟნიკს" გავეყვანე და ბრძანება აესრულებია მეც გავყევი.

სტრაჟნიკმა შემიყვანა ერთ მინგრეულ ოთახში და მითხრა სკამზე დაჯექი და ეხლავე მოვალო; რამოდენიმე წუთის შემდეგ მართლა მოვიდა და თან მოიტანა ძველის ძველი დეჟანგული მაკრატელი. აილო და თავისუფლად კაი პარიკმახერივით დააპერა გაპარსვა, იფეთქა ჩემში თავმოყვარეობამ ვკარი მაკრატელზე ხელი, იმან მრისხანე სახე მიიღო და დამემუქრა პრისტავს მოვახსენებ და უარესი მოგივაო, დამიწყო ქაჩაობა, მე თავს აქეთ იქით ბეციან ცხვარივით ვაქნევდი ისიც კიდევ მაკრატელს არ მაშორებს, ნამდვილი ომი ავტეხეთ, არ იქნა ვერ დამიმორჩილა, გაქცევა დავაპირე, მაგრამ კარები დაკეტილი დამხვდა, ბოლოს რომ ვერაფერს გახდა დაუძახა მეორე სტრაჟნიკს და უთხრა ხელი დაუკავეო, ისიც მეცა ხელებში; დამადვა მაკრატელი და ერთი კაი ბლუჯა ბალანი ისიც წინ მომჭრა, შევრცხვი კაცი, მარა რას ვიზამდი, ბოლოს მეორე სტრაჟნიკი უფრო ლმობიერი გამოდგა და უთხრა მეორეს კარგი გაუშვი ეყოფაო, გამომიშვეს, მაგრამ ვაი მისთანა გამოშვებას, სირცხვილით ვიწოდი პირდაპირ, ქუდი მაგრად თავზე დავიხურე და გავეშურე მახლობელ საპარიკმახეროსაკენ; პარიკმახერმა ჩემი თავი, რომ დაინახა ერთი მაგრად გადიხარხარა, მაგრამ ჩემთვის მაინც არაფერი უკითხავს, რადგანაც შემატყო, რომ ძალზე აღელვებული ვიყავი.

გადავაღებინე თმა სულ ძირში, მეტი არაფერი ეწყობოდა, ეს თმა ქოჩორა ბიჭი დავრჩი თავ მოტვლეპილი.

**გრ. სოავისოხნიშვილი.**



## მესამე ლეგიონის დრამატიული წრე.

ლენინის დაბადების დღის აღსანიშნავათ, სამშაბათს, 22 აპრილს ხსენებული წრის მიერ ლეგიონის თეატრში გამართულ იქმნა წარმოდგენა, რომელსაც დაესწრნენ გარდა ლეგიონის უფ. პოლიტ შემადგენლობისა და საგანგებოთ მოწვეული ორგანიზაციის წარმომადგენელთა, აგრეთვე გარეშე პირებიც, რომელთა უმრავლესობას შეადგენდა მოსწავლე ახალგაზრდობა. თეატრის აუდიტორია სავსე იყო.

წარმოდგენის დაწყების წინ, მეხუთე ასეულის პოლიტხელმა ამხ. გეგიამ გააკეთა მოკლე მოხსენება ლენინის მოღვაწეობის შესახებ, რის შემდეგ წარმოდგენილი იყო რევოლიუციონური პიესა „მარატი“ 1 მოქ. თარგმანი ეულისა.

პიესაში აღსანიშნავი იყვნენ: გრელი (მარატი), ლორთქიფანიძის ახალი (სორიელი) და მელიქიძე (ტუაში); დანარჩენნი ამხ. ჯლამაძე (გრაფი), პეტრიაშვილი (პიერი) და ჯარის კაცები ამხ. წ. ა. არუთინოვი. აბაშიძე და ცხოვრებოვი ანსაბლს ხელს უწყობდნენ, პეტრიაშვილის გამონაკლისით, რომელმაც სუსტად ჩაატარა თავისი როლი.

„მარატის“ შემდეგ წარმოდგენილი იყო 1 მოქ. კომედია გრელლისა „ძვირფასი ყელსაბამი“. ეს პიესა, თავისი შინაარსით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, თუმცა პიესა უშინაარსო იყო, მაგრამ სცენის მოყვარეების მიერ კარგათ იქმნა შესრულებული. საუცხოვო კარგია ამხ. გრელლი ებრაელის როლებში და როგორც ყოველთვის ისე ამ საღამოზედაც საუცხოვო კარგათ დახატა სურათი გაბოს ტიპი. კარგი იყვნენ აბაშიძის ასული (ქალბატონი) და ლორთქიფანიძის ასული მოსამსახურეს როლში, მაგრამ აბაშიძის ასულს, გრელლის როლის კომიკური ადგილების დროს სცენაზე ხშირათ სიცილი მოსდიოდა, ხოლო ნიკოლაი ვლადიმიროვის როლში ამხ. მელიქიძე ძალზე მოისუსტებდა, როლის უცოდინარობით და შეუფერებელი მიმიკით.

უკანასკნელად წარმოდგენილი იყო „ხოსიას დღე“, რაც ამხ. გრელლის, პეტრიაშვილისა და აბაშიძის ასულის მიერ კარგათ იქმნა ჩატარებული.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ამხ. გრელლი, თუ „მამაო ჩვენოსავით“ ერთ და იმავე ძველ დრომოჭმულ იუმორისტების სცენაზე გაეორებას თავს დაანებებს კარგი იქნება ან მის მაგივრათ ახალ-ახალ სცენებს შეისწავლის და იმას წაგვიკითხავს.

საღამო გათავდა გვიან, რაც მიეწერება ანტრაქტების ხანგრძლივობას, რასაც ვისგანაც ჯერ არს საჭირო არის ამ თავითვე მიექცეს ყურადღება, რომ შემდეგისათვის მის შესახებ კვლავ არ დაგვჭირდეს წერა.

დასასრულ, მიუხედავათ ყველა ზემო ჩამოთვლილი წვრიმალი დეფექტებისა, საღამომ მაინც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და ჩვენ უსურვებთ რეჟისორს ამხ. გრელლის ხშირ-ხშირათ ასეთი შერჩევითი პიესებით, წარმოდგენების მართვას.

მე-3 მე ლეგ. პასუხის მგებელი სამხკორი: **სოლ. ყუბანეიშვილი.**

კარგი იქნება, თეატრის კომენდანტი ამხ. არველაძე, დარბაზში პაპიროსის წევის წინააღმდეგ საჭირო ზომებს რომ მიიღებდეს.

## რაზედ გვწერენ.

**ქარ. ნაწილების დრამწრეების შეჯიბრის შესახებ.**

23 აპრილს საკავშირო ასეულის მიერ შეჯიბრების წესით დაზდგა წარმოდგენა 25 ამ თვეს საპასუხო წარმოდგენა უნდა დაედგა ცხენოსან ლეგიონს. ცხენოსან ლეგიონის დრამწრეს უნდა დაედგა „არსენა ჯორჯიაშვილი“, „საკოია ბოლშენიკი“ და „ხრინწაძის ხორო“. სამწუხაროდ ეს ვერ მოხერხდა, რადგან ცენტრალურ კლუბმა თავისი დაპირება არ შეასრულა. წინეთ კლუბმა ჩვენ დაგვაიმედა, რომ მხოლოდ თქვენ გამართეთ წარმოდგენა და ჩვენ კი დადგმის ყოველგვარ ხარჯებს ვიკისრებთო. 24 კი, გენერალურ რეპეტიციის შემდეგ, ჩვენ კლუბის გამგეობამ გაგვიცხადა რომ მათ არ შეუძლიათ მოგვცენ ჩვენ კოსტიუმები, რადგან ეს მათ ძვირი უჯდება და სხვ; შეგვაძლიეს რამოდენიმე მანეთი, რაც უმნიშვნელო იყო ჩვენი ხარჯებისათვის, ჩვენ ამაზე, რასაკვირველია, უარი უთხარით. ცხადია ამავე მიზეზით მეორე დღეს არ შესდგა წარმოდგენა. არჩეულ შემომწმებელ კომისიას ამით ვაცნობებთ, რომ 29 აპრილს ჩვენ ვსდგამთ „არსენ ჯორჯიაშვილს“ სახალხო სახლში, სადაც მათ საშუალება ექნებათ ცხენოსან ლეგიონის დრამწრის მუშაობის შეფასების.

სამხ. **ქვანია**

## ახალი ამბები.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომრის მოწინავეში გაგვეპარა კორექტორული შეცდომა. სწერია: „დღითი-დღე ოქტომბრის რევოლიუციის დღეები ფეხს იკიდებენ“. უნდა იყოს „დღითი-დღე ოქტომბრის რევოლიუციის იდეები ფეხს იკიდებენ...“

— **კოოპერაცია ჯარში.** ხვალ, წითელ არმიელთა ცენტრ. კლუბში გაიხსნება საქ. მთლ. სამხ. კოოპერატივის მესამე ყრილობა.

— **საცხოვრებელი ბინები.** თფილისში აღწერილია 2.975 სახლი 20.976 საცხოვრებელი ბინით და 31.655 ოთახით.

— **ტრამვაის მუშაობა.** ქალაქის სტატისტ. განყოფილების ცნობით მარტის თვის განმავლობაში ტრამვაის გადუყვანია 1.111.212 მგზავრი.

— **წყლის დასაწმენდათ.** წყალსადენის სამმართველომ მ. ხკოვში დაიკვეთა წყლის დასაწმენდი აყალო მიწა 5.000 ფუთის რაოდენობით.

— **ხელოვნების მუშაკთა აღწერა.** ქალაქის აღმასკომს განზრახული აქვს მოახდინოს ხელოვნების მუშაკთა აღწერა. აღწერაში შევლენ ჟურნალ-გაზეთების მუშაკნიც.

— **ციებ ცხელების კურსები.** 28 აპრილიდან ტროპიკულ ავათმყოფობათა ინსტიტუტთან იხსნება მალიარიის შემსწავლელი ორ-თვიანი კურსები.

— **გლეხკომების საქმიანობა** ყარაიაზის გლეხკომმა გაიყვანა არხი 1 ვერსის მანძილზე და მოაწყო ბავშთა თავშესაფარი.

— **გეგელიას საქმე.** ამას წინათ გამართულ დიდ პროცესზე, სადაც დიმიტ. გეგელიას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, მას ეპატია სახელი და მიესაჯა 10 წლის ციხე.

— **საზაფხულო პროგრამა.** სოც. აღზრდის მთ. მართ. ამზადებს იმ სკოლებისათვის საზაფხულო პროგრამას, რომელნიც წავლენ საგარაკოთ.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 25 აპრილს შრომის ბირჟამ გაგზავნა სამუშაოზე 38 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა 27.

## ხელოვნება.

— **ახალი ჟურნალი.** იბეჭდება და ახლო ხანში გასასყიდათ გამოვა ქალაქის ჯანმრთელობის ყოველთვიური ჟურნალი „საუნჯე“.

— **ახალი პიესა.** 4 მაისს სახალხო სახლში დადგმულ იქნება ივ. ბარველის რეჟისორობით ს. შანშიაშვილის ახალი პიესა „სპარტაკი“.

— **გაზეთი „პატარა ლენინელი“.** 1-ლი რაიონის სპარტაკის კომიტეტმა დაადგინა გაზეთ „სპარტაკს“ ეწოდოს „პატარა ლენინელი“.

— **დღეს თეატრებში.** დღეს თეატრებში და გასართობებში წარმოდგენები არ იქნება.

## ქართულ მსროლელ დივიზიის მასწავლებელთა მე-3-მე კონფერენცია.

**სხდომა მესამე.**

(გაგრძელება).

სხდომა გაიხსნა, 15 აპრილს, საღამოს 5 საათზე და 20 წუთზე.

იყო მოხსენებები ადგილებიდან, მიღებულ იქმნა ასეთი რეზოლიუცია: 1901 წ. დაბადებულთა მიერ მოცემულმა წერა-კითხვის არ მცოდნეთა დიდმა რიცხვმა ყოველს ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. წ.- კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ არ იყო არც მასწავლებლების საკმაო რიცხვი, არც შესაფერი ბინა და ბინის მოწყობილობა, არც თვალსაჩინო დამხმარე სასწავლო ნივთები და არც შესაფერი სახელმძღვანელო. ამასთანავე განწესება, წერა-კითხვის არ მცოდნეთა ხიდეებზე სადარაჯოდ გაგზავნა და ბევრი ასეთები ძლიერ უშლიდა ხელს მუშაობის ნაყოფიერებას.

კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია ყოველივე ღონის ძიება იქნას მიღებული, რათა ხელის შემშლელნი დაბრკოლებანი სასკოლო მუშაობაში გადალახული იქმნას, რისთვისაც უნდა გავლენა მოვახდინოთ უფ. და პოლიტშემადგენლობაზე, რომ ისინი მეტის ყურადღებით მოეპყრონ სასკოლო მუშაობას, ხელი შეუწყონ ახალწვეულთა შორის მომზადებულ წითელ არმიელების გადარჩევას, რომ იმათგან მასწავლებელთა კადრი გაძლიერდეს, რითაც შესაძლებელი გახდება წითელ არმიელების სათანადოთ მომზადება.

7. წერა-კითხვის უცოდინართა სკოლაში მეცადინობის დროს ხანგრძლივობა.

სასკოლო სექციის უფროსი ამხ. თალაკვაძე კითხულობს კ. წ. დ. არმიის პოლიტსამმართველოს დადგენილებას ამაწლის 20 მარტიდან, აღნიშნავს, რომ წ.-კითხვის ტეხნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს ორი თვის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ამისა მოსწავლენი უნდა გადარიცხულ იქმნან მცირე მცოდნეთა ჯგუფებში, სადაც მეცადინობა გრძელდება 4 თვეს. ამასთანავე ამხ. თალაკვაძე ეხება წ.—კითხვის არ მცოდნეთა ცალკე გუნდებად გამოყოფას, იმათ განთავისუფლებას ყოველგვარ განწესებისაგან, რათა მეცადინობას ჰქონდეს სისტემატიური ხასიათი და მით შესაძლებელი გახდეს მოვახდინოთ უცოდინარობის ლიკვიდაცია სრული 100 პროც.

კონფერენციამ გამოიტანა ასეთი რეზოლიუცია: განკარგულება კ. წ. დ. არმიის პოლიტ-სამმართველოს მიღებულ იქმნას სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად, რომ ტეხნიკური წ. კითხვის უცოდინარობა 2 თვეში დასრულდეს, რომლის შემდეგ მცირე მცოდნეთა ჯგუფი სწავლობს კიდევ 4 თვეში.

2. ეთხოვოს სათანადო ხელის უფლებას მოახდინოს განკარგულება რათა წერა-კითხვის უცოდინარნი წითელ არმიელნი განთავისუფლებულ იქმნან ყოველგვარ განწესებისგან და უცოდინარებისაგან იქმნას შედგენილი ცალკე ასეულები მივლინების სახით თუ კი უცოდინართა რიცხვი ნაწილში იქნა არა უმეტეს 25 პრ.

მოხსენება კომპლექსურ მეთოდზე. მომხსენებელი ამხ. კონიევი აღნიშნავს, რომ ცოდნა სხვა და სხვა საგნებზე უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან, ასეთი ცოდნა უნდა მივაწოდოთ მთლიანი ამბავის სახით. ის ეხება კომპლექსური მეთოდით სარგებლობას სხვა და სხვა ჯგუფებთან, რომელთაც არა აქვთ უნარი საგნების და მოვლენების გან კერძოვებით შესწავლის, მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს კომპლექსური მეთოდის საშვალებით. საჭიროა იცოდეს რა ინტერესებს მოსწავლეებს და რის გაგების უნარი შესწევს გარდა ამისა მასწავლებელი უეჭველად უნდა იყოს სათანადოთ მომზადებული, ამ მეთოდით მეცადინობისთვის და გაცნობილი აუდიტორიის სულის კვეთებასთან. შეკითხვებზე ანბანის სწავლების დროს ამ მეთოდით სარგებლობის შესახებ, მომხსენებელი ამბობს, რომ შესაძლებელია, რომ ანბანის სწავლების დროს ამ მეთოდით სარგებლობის შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ შესაძლებელია, რომ ანბანის სწავლების დროს მივაწოდოთ სხვა და სხვა ცოდნა, მაგრამ მასწავლებელი არ უნდა გაიტაცოს კომპლექსით მეცადინეობამ იმდენათ, რომ ის ასცდეს თავის ნამდვილ ხაზს და დაავიწყდეს უმთავრესი მიზანი.

მოხსენების შესახებ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია: კომპლექსიური მეთოდით მეცადინობა კონფერენციას მიაჩნია მიზანშეწონილად სწავლების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

აგრეთვე კონფერენციას მოახსენა ამხ. თალაკვაძემ მის მიერ („ბიულეტენ“ 38-38 ბრძანება „პურიდან“ 373) გადმოქართულებულ პროგრამების შესახებ, რომელიც უკვე დაგზავნილია ნაწილებში და დასძინა, რომ უკვე ბრძანება არმიის მასშტაბით არსებობს რომ ტეხნიკური უცოდინარობის სალიკვიდაციოთ და მცირე მცოდნეთა მოსამზადებლად გა-

## •უღმერთოდ•

**მღვდელ დიაკვნის ჩივილი.**

(დუეტი).

**მღვდელი.** ეხლა კი დავიღუპეთ,—
რაღა ვქნათ დიაკვანო?
ო, სად ხარ ძველო დროის
აღდგომავ, სათაყვანო!?.

**დიაკვანი.** ამინ! მართალსა ბრძანებ—
გვაკურთხევი მამაო;
რა ვქნათ თუ ლიტანია
მოდის ასე ამაოდ,?!

**მღვდელი.** კურთხეულ არს უფალი
და ქრისტე მაცხოვარი..
აღარც პასკა მაქვს სახლში,
არც კვერცხი, არც ცხვარი!..

**დიაკვანი.** მითხარ საით გვექნება—
აღარ მოაქვს არავის!
აღარავინ სტყუვდება—
რომ ვიყოთ მფცქვნელი კრავის!..

**მღვდელი.** ხალხი, ეკლესიაში,
ხედავ აღარ შემოდის;
ასე მშივრები, მითხარ,
აბა ვიყავით როდის?!

**დიაკვანი.** მოდი, მღვდელო, ერთმანეთს
ვუგალობოთ ეხლა;—
აბა ვის გავუბედოთ,
უძლურებმა შეხლა?!

**ერთად.** წყეულ იყოს სუყველა,
ვინც ეს დღე დაგვაყენა;
ვინც ბრძოლა აგვიტეხა—
გაუხმეთ მათ ენა!..

—

აგვიჯანყეს ხალხი, და—
უკუ აგდეს აღდგომა;
უშედეგოდ და მიდის
ეხლა ჩვენი აქ დგომა!..

—

აღდგომის მაგიერად
პირველი მაისია!
იესოვ, შეაჩვენე,
ვინც მრევლი მოგვისია!..

**დაშნა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნსაზღვრულია 6 თვე ეს დრო კი საკმარისი იქნება ხსენებული პროგრამების გასავლელად. ეს აზრი კონფერენციამ გაიზიარა და ბრძანება მიიღო შესასრულებლად.

მეთოდიური მუშაობის გაცხოველების შესახებ კონფერენციამ დაადგინა ეთხოვოს პოლიტგანის უფროსს, რომ გაზ. „წითელ არმიელში“ დაეთმოს ადგილი ასეთ მუშაობას.

კითხვები: მზადება ახალ წვეულთა შესახვედრათ, წითელ არმიელებიდან მასწავლებლის თანაშემწის ამორჩევა, ექსკურსიების მოწყობა, სასკოლო ოთახის მოწყობა და გამოძებნა და სხვა, მეხუთე სხდომაზე 16 აპრილს ამოწურულ იქმნა და საღამოს 7 საათზე კონფერენცია დაიხურა.

№

# წითელ-არმიელისათვის საჭირო ცნობები სავეტერინარო დარგიდან.

(გაგრძელება)

შემდეგ ეს „გამონადენი“ იცვლის ფერს და ნივთიერებასაც; იგი იცვლება მწვანე - ყვითელ—ნაცრისფერის, წებოსავით, მიმკრობ ლორწოდ, რომლის მაგიერ ხანდისხან იმავე გზით, ესე იგი ცხვირიდან, გამოდის სისხლი (ეს ნიშანი ითვლება უაღრეს დამამტკიცებელ ნიშნად ქრონიული საპისა); თვით ცხვირის ლორწოიან გარსზე შეგვიძლიან დავინახოთ კვანძები და იარები, რომელნიც ხან ჰქრებიან—შემდეგ კი ისევ ჩნდებიან; კვანძები, როგორც ასეთები, რჩებიან მოკლე ხანს, რის შემდეგაც იგინი გადადიან ღრმა მოურჩენელ წყლულებად: ეს უკანასკნელნი ხასიათდებიან უსწორ-მასწორო შეჭმული ნაპირებით და ქონის ელფერის ძირით; აქედამ ვითარდება, ვითომდა მორჩენის დროს, ვარსკვლავის მზგავსი ნაოჭევის ხაზი. აღნიშნულ ნიშნებს ერთვის ქვედა ყბის შიგნითა მხარეს მდებარე ჯირკვლების გასიება; ეს სიმსივნე ჯერ მთელია, რბილი, ცომის მზგავსი და მასთან გრძნობიერად მტკივნეულოვანი; შემდეგ იგი ხდება კვანძ-კვანძეული, მაგარი და მკვრივი, უტკივარი, ხორკლიანი და ზოგჯერ მიკრობილი თვით ყბაზე, რის გამოც ჯირყვალი უძრავი ხდება, მალე იღლება მუშაობის დროს, სუნთქვა ეხუთება, ხველა ემატება, ცხვირიდამ სისხლი წამოსჩქეფს და რამოდენიმე წლის განმავლობაში, არა უგვიანეს შვიდი წლისა, ცხოველი კვდება.

იქნეული საპით ავადმყოფობა ხასიათდება ერთ მხრიული, ნამეტურად მარცხენა მხრიდან, ცხვირის გამონადენით და ცხოველის მუშაობის დროს ცხვირიდან სისხლის გადმოჩქეფით.

ქრონიული საპის გამოაშკარავება შეიძლება ერთგვარი სითხის „მალეინის“ შეშხაპუნებით და თუ ამ ოპერაციის შემდეგ სიცხემ აიწია ორ ნახევარ გრადუსზე და მასთან იმ ალაგას, სადაც სითხე შეუშხაპუნეთ, კვერცხის ოდენა სიმსივნე ამოჩნდა თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ცხოველი არის ავად საპით.

„საპი“—ადამიანზე.

კაცობრიობისათვის საერთოდ და ვეტერინალურ ექიმებისათვის კერძოდ ადამიანის ავად გახდომას საპით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შემთხვევები ადამიანის და კერძოთ ვეტ-ექიმების აღნიშნულ სენით ავად გახდომისა იშვიათი მოვლენა არ არის; ასეთი შემთხვევები ყველაზე მეტად რუსეთში ხდება. გზები, საიდანაც საპის ბაცილები შედიან ადამიანის სხეულში, არიან: ხელები, ცხვირის და თვალის ლორწოიანი გარსები და ტუჩები. საპიანი ცხენის გაშინჯვის დროს მისი ფრუტუნით გადმოსროლილი, თვალით შეუმჩნეველი, ლორწოს წვეთი ეცემ თვალში ან ცხვირში და ხან ტუჩებზე და ამ ადგილას სამი დღის შემდეგ ჩნდება სიმსივნე, რომელიც აუტანელი მტკივანი ხასიათისაა; შემდეგ ეს სიმსივნე იწვევს ლიმფატიურ ძარღვების და ჯირყვლების საერთო ანთებას; ადამიანი ხუსტდება, მთელი მისი სხეული იმოსება მოურჩენელი წყლულებით, ულპება და ვარდება ცხვირი და სხვა და სხვა ასოები, ერთის სიტყვით თვალწინ გვიდგება მთელი სურათი ადამიანის „სიფილისისა“; ბოლოს ავადმყოფი ძლიერ ტანჯვაში და წამებაში სულსა ლევს.

### წამლობა.

თვითმორჩენა საპით დაავადმყოფებული ცხოველისა ისტორიამ არ იცის, თუმცა ფიქრობენ რომ თვითეულ შემთხვევას შეიძლება ჰქონდეს ადგილი. შემთხვევები მორჩენისა, რომელნიც ვითომდა წამლით მორჩენილი იყვნენ, სულ შეცდომად გამოდგნენ. საპით ავადმყოფობას ბევრნაირ წამლით სწამლობდნენ, მაგრამ არც ერთი მათგანი სატკივარს არ უდგებოდა: პირიქით—ზოგი მათგანი საპის ბაცილეპის გამრავლებას და სატკივრის განვითარებას ხელს უწყობდა. ამ მხრივ—საპით ავადმყოფობა მოურჩენელ სენად უნდა ჩაითვალოს და ასეც არის ცნობილი; ამის გამო ყველა სახელმწიფოებში საპის გავრცელების წინააღმდეგ ღებულობენ სასტიკ, იძულებითი ხასიათის,—ზომებს, რომელთა რიცხვში პირველი ადგილი უჭირავს—ავადმყოფი ცხოველის მოკვლას. ან მისი საუკუნოდ განცალკევება ისეთ ადგილას, სადაც არც ადამიანის, არც ცხოველის ფეხი არ ხვდება.

რას გვავალებს ამხანაგო, წითელ-არმიელო, ზემოდ აღწერილი სენის სიმკაცრე და მისი მოურჩენლობა? იგი გვავალებს, რომ, სადაც შეგვხდება, სამსახურის ასრულების დროს, გინდ სოფლად ყოფნის დროს, ცხენი ან სხვა ცხოველი, რომელსაც ცხვირიდან ან ტყავიდან გადმოსდის ლორწო, როგორი ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, მაშინვე უნდა შევატყობინოთ ვეტერინალურ ექიმს, რომელიც ვალდებულია მიიღოს შესაფერისი ზომები და მით გადაარჩინოს მცხოვრებნი აუტანელ განსაცდელისაგან.

**ბახრი.**

# ნარევი

## ისტორიული ცნობა დიდი მარხვის შესახებ.

სარწმუნოება და ცოდნა-მეცნიერება ხშირად ვერ უთანხმდებიან ერთმანეთს. ბუნების მეცნიერულად გაგების განვითარებამ ბევრი უკმაყოფილება აგემა სარწმუნოებისა და ეკლესიის ქურუმებს. ბუნებრივია, რომ სარწმუნოების წარმომადგენლებმა ისე მკაცრად გაილაშქრეს კოპერნიკის წინააღმდეგ, რომელმაც დაამტკიცა დედა მიწის ბრუნვა მზის გარშემო. აგრეთვე გასაგებია მათი სიძულვილი და წყევა კრულვა დარვინისადმი, რომელმაც ნათელყო ადამიანის წარმოშობა მაიმუნისაგან. ამით ბოლო მოეღო, საფუძველი გამოეცალა ბავშურ ბიბლიურ ზღაპრებს, თითქოს ადამიანი ღმერთმა მიწისგან შექმნა თავისი სულის შთაბერვით და მრავალი სხვა. სრულიად მართალი იყო ერთი მეცნიერი რომელმაც გონება მახვილურად განაცხადა: „მეცნიერების ყოველი ნაბიჯის წინ გადადგმით, ღმერთი უკან იხევსო“. ამიტომ სასულიერო წოდება ეხლაც არ იღებს ხელს მეცნიერების წინააღმდეგ გალაშქრებაზე და ქება და დიდებას ასხამს სიბნელე-უვიცობას და გაუნათლებლობას.

მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც მეცნიერების ზოგიერთი შემცდარ ან მართალი დებულებებს თავის სასარგებლოდ იყენებენ. საინტერესოა დიდი მარხვის შესახებ ერთი ფაქტის მოგონება. საშვალო საუკუნის ბერები მოხერხებულად იყენებდენ ზოგიერთ დიდი ავტორიტეტიან მეცნიერების მცდარ შეხედულებებს და შემწვარი იხვები და ბატები მარხვის საჭმელებად გამოაცხადეს. საქმე იმაში იყო, რომ ცნობილი ძველი მეცნიერი არისტოტელი ამბობდა, რომ შესაძლებელია მცენარეები ცხოველებად იქცენ და შებრუნებულადაც. მაგალითად ის ამბობდა, რომ ბაყაყები და გველები ყოველ გაზაფხულობით იბადებიან ნალექისაგან, ჭიები დამპალი ხორცისაგან ან და მცენარეების შტოები თუ კი ჩავარდებოდენ წყალში, შესაძლებელი იყო მათი წყლის ცხოველად გადაქცევა. ასეთ ლეგენდების რიცხვს რომელთაც არისტოტელიდან მოაქვთ თავისი დასაწყისი ეკუთვნის ისიც, რომ მუხის რკო, თუ კი ჩავარდა წყალში იქცევა წყლის იხვებად და ბატებათო. სწორედ ეს ლეგენდა გამოიყენეს საშვალო საუკუნის ბერებმა თავის სასარგებლოდ და არხეინად შეექცეოდენ დიდ მარხვაში შემწვარ იხვებს და ბატებს, რადგან ისინი უსისხლო, მცენარისაგან იყვენ წარმომდგარიო. ამნაირად ტკბილი-გემრიელი საჭმელები, რომ ეჭ მათ მათთვის მისაღები იყო მეცნიერების დებულებები და ამნაირად არიგებდენ მას რელიგიასთან; რათქმა უნდა ტკბილი საჭმელების გამო.

**შეიხ.**

# ქართული დივიზიის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების პირველი მოთხოვნილების საქონლის ფასები.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | კართოფილი | 1 | გირ. | —1½ | კაპ. |
| 2. | თაფლი ახალციხის | 1 | „ | —36 | „ |
| 3. | კვერცხი | 1 | ც. | —02 | „ |
| 4. | ერბო | 1 | გირ. | —90 | „ |
| 5. | კარაქი | 1 | „ | —90 | „ |
| 6. | ქონი გადამდნარი | 1 | „ | —42 | „ |
| 7. | ,, ზურგის | 1 | „ | —48 | „ |
| 8. | ყველი ევკოგრუზის | 1 | „ | —50 | „ |
| 9. | შაშხი ბარკალი (ვრჩ.) | 1 | „ | —48 | „ |
| 10. | „ ბეჭი | 1 | „ | —43 | „ |
| 11. | „ ფერდი | 1 | „ | —43 | „ |
| 12. | „ გვერდები | 1 | „ | —43 | „ |
| 13. | ბრინჯი ალდაშის | 1 | „ | —10 | „ |
| 14. | „ აქულა | 1 | „ | —15 | „ |
| 15. | „ ზარნა | 1 | „ | —12 | „ |
| 16. | „ ნახიჩევანის | 1 | „ | —14 | „ |
| 17. | ასანთი | 1 | ც. | —02 | „ |
| 18. | მარილი | 1 | გირ. | —02½ | კაპ. |
| 19 | ლოლო | 1 | პ. | —05 „ | „ |
| 20. | ქიშმიში | 1 | გირ. | —17 | „ |
| 21. | ყავა ქერის პაჩ. | 1 | პ. | —40 | „ |
| 22. | ლობიო წითელი | 1 | გირ. | —02½ | „ |
| 23. | საპონი ტოლლე | 1 | ც. | —20 „ | „ |
| 24. | „ „ლოკატი“ | 1 | „ | —20 | „ |
| 25. | „ „მამალი“ | 1 | „ | —20 | „ |
| 26. | მაზი ფეხსაცმელის პ. | 1 | ბანკა | —20 | „ |
| 27. | „ „ შუათ. | 1 | „ | —25 | „ |
| 28. | „ „ დიდი | 1 | „ | —30 | „ |
| 29. | მაკარონი | 1 | გირ. | —16 | „ |
| 30. | ფქვილი №0 | 1 | ფ. | 4—40 | ,, |
| 31. | „ №000 | 1 | ,, | 5—40 | ,, |
| 32. | „ კუბ. უბრ. | 1 | გირ. | —09 | ,, |
| 33. | ჩაი ინგლისური | 1 | „ | 4—00 | „ |
| 34. | „ ჩაქვის | 1 | „ | 2—20 | „ |
| 35. | „ ცეკავშირის | 1 | „ | 2—40 | „ |
| 36. | შაქარი ფხვნილი | 1 | გირ. | —26 | კაპ. |
| 37. | „ დახერხილი | 1 | „ | —32½ | „ |
| 38. | „ ნატეხი | 1 | „ | —32½ | „ |
| 39. | კაკაო ,,აიდა“ | 1 | „ | 1—80 | „ |
| 40. | „ ცენტროსოიუზი | 1 | „ | 2—20 | „ |
| 41. | „ გოლან. ეინემ | 1 | „ | 3—80 | „ |
| 42. | პაპირ. საბჭოს | 1 | კოლ. | —23 „ | „ |
| 43. | „ დელიკატესი | 1 | „ | —18 | „ |
| 44. | „ „ პაჩკა. | 1 | „ | —16½ | „ |
| 45. | „ სოლიდნი | 1 | „ | —20½ | „ |
| 46. | „ მეფისტოფ | 1 | „ | —20 | „ |
| 47. | „ ხან-კეფი | 1 | „ | —18½ | „ |
| 48. | „ ფედერაცია | 1 | „ | —13 | „ |
| 49. | „ განს. შეკ. 100 | 1 | „ | —46 | „ |
| 50. | თუთუნი სახალხო | 1 | პაჩ. | 1—60 | „ |
| 51. | „ სლონ | 1 | „ | 2—72 | „ |
| 52. | „ სამსუნ | 1 | „ | 1—60 | „ |
| 53. | „ № 108 | 1 | „ | 1—60 | „ |

### ფართლეულობა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | № 826 ოქსფორდი | 1 | არშ. | —32 | კაპ. |
| 2. | № 806 მიტკალი | 1 | „ | —27 | „ |
| 3. | № 700 ბატისტი | 1 | „ | —32 | „ |
| 4. | № 315 მუსლინი | 1 | „ | —36 | „ |
| 5. | № 693 ლიუსტრალი | 1 | „ | —54 | „ |
| 6. | № 24 მოლესკინი | 1 | „ | —74 | „ |
| 7. | № 727 ნეპ. შავი | 1 | „ | —50 | „ |
| 8. | № 790 არტიკული | 1 | „ | 3—02 | „ |
| 9. | № 691 სატინა | 1 | „ | —44 | „ |
| 10. | № 633 ფულიარი | 1 | „ | —35 | „ |
| 11. | № 723 მოლესკინი | 1 | „ | —54 | „ |

### ფეხსაცმელი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ფეხსაცმელები კაცის | 1 | წყ. | 13—95 | ,, |
| 2. | ,, ,, | 1 | ,, | 19—95 | ,, |
| 3. | ,, ქალის | 1 | ,, | 13—00 | ,, |
| 4. | ,, ,, | 1 | ,, | 15—00 | ,, |

**ევკოგრუზის გამგეობა.**

თანახმად ქარ. დივ. მთლიან მომხმარებელ საზოგადოების **„ევკოგრუზის“** გამგეობის პლენუმის დადგენილებისა, სამხედრო კოოპერატიული **მესამე ყრილობა** მოწვეული იქნება ამა წლის **28 აპრილს** დილის 10 საათზე.

ყრილობის დღის წესრიგისათვის განზრახულია შემდეგი საკითხები:

1. გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიში;
2. შინა-ვაჭრობა და კოოპერაცია.
3. წესდების შესწორება.
4. საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5. მიმდინარე საკითხები.

ქარ. დივ. მთლიან მომხ. საზ. გამგეობა.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.